განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებებისშეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

აა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტი გამომდინარეობს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის" პროექტიდან, რომელიც განპირობებულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერების და უფრო ეფექტურად დაცვის მიზნებით.

აბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერება და მისი უფრო ეფექტურად მართვის ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების საქმიანობის სამართლებრივი გარანტიების შექმნა.

აგ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტს ემატება პუნქტები, რომლითაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურს დაემატება შესაბამისი მოვალეობები, მათ შორის სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიბების განხორციელების მოვალეობა. ამასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები ისარგებლებენ შსს მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებითა და გარანტიებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას.

ბბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბგ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბდ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპრეოექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახადის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობდნენ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები – მურთაზ ზოდელავა, აკაკი მინაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – მურთაზ ზოდელავა, აკაკი მინაშვილი.